

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის

## დადგენილება №3

2018 წლის 27 აგვისტო

ქ. ბათუმი

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

#### მუხლი 1

დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტი თანდართული ნიმუშის მიხედვით.

#### მუხლი 2

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილება (გაზეთი „აჭარა“ 23.05.2006 წ. №91).

#### მუხლი 3

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

#### მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 27 სექტემბრიდან.

აჭარის ა.რ. უმაღლესი საარჩევნო  
კომისიის თავმჯდომარე  
კომისიის მდივანი

პარმენ ჯალაღონია

სოფიო კახაძე

